

ვალ. რაჩიუჭილი

სვიდისვიკის სწავლებისა და მეფყველების სვიდზე მუშაობის საკითხები

საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიათა ფაკულტეტზე შემოღებულია „ქართული მართლწერის საფუძვლების“ სპეციალური კურსი. მისი პროგრამა, მართლწერის საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს პუნქტუაციის, სტილისტიკისა და მეტყველების განვითარების ძირეულ საკითხებსაც, რომელთა სწავლების მიზანია — ხელი შეუწყოს სტუდენტთა (მომავალ ჰასწავლებელთა) წიგნიერების დონის მკვეთრად ამაღლებას.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს ამ პროგრამის ერთერთი მონაკვეთის მოკლე სალექციო კურსს, რომელშიც უმთავრესად განხილულია გრამატიკული სტილისტიკის სწავლებისა და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები.

შრომა განკუთვნილია დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიათა სპეციალობის სტუდენტთათვის. იგი დაეხმარება აგრეთვე დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებსაც ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული სტილისტიკის საკითხების შესწავლაში.

სტილისტიკის სწავლებისა და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები

სტილის რაობა

სტილი (ბერძნ. „სტილოს“, ლათ. (სტილუს“)

თავდაპირველად ნიშნავდა „წვეტიან ჭობს“.

ძველი ბერძნები და რომაელები ამ ჭობის წვეტიანი წვერით წერდნენ გასანთლულ ფიცარზე, ხოლო ბლაგვი თავით შლიდნენ არამართებულად დაწერილს, ე. ი. ფრაზას მართავენ, ნაწერის ატილს აუმჯობესებდნენ. „ატრიალეთ ჭობი“ ნიშნავდა — წაწალეთ, გაასწორეთ არამართებულად დაწერილი, შეცვალეთ ისინი მისაღები სიტყვებით, მართებული ფორმით. ამ პირვანდელ მნიშვნელობასთან ზოგი რამ საერთო აქვს სტილის ახლანდელ გაგებას. მაგრამ სტილის ახლანდელი მნიშვნელობა, რასაკვირველია, არსებითად განსხვავებულია და ფართოა. სტილი, ფართო გაგებით, ნიშნავს მწერლის მხატვრული და ენობრივი თავისებურების ერთობლიობას, რამაც ემომქმედის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ვლინდება. სტილი ასე მნიშვნელოვანია ხელოვნების სხვა დარგებისათვისაც: მხატვრობის, ხელოვნების, მოძღვრების, ქანდაკებისა და სხვათათვის. სტილის მნიშვნელობა იქამდე ვაფართოვდა, რომ გავრცელებულია ასეთი ფრაზა: სტილი — ეს თვით ადამიანიაო. ამაში გულისხმობენ იმას, რომ ადამიანის შეტყველება, აზროვნება, ნებელობა, ხასიათი და სხვა, ერთი სიტყვით, ფსიქიკური ფუნქციების ერთიანი მოქმედება, თვისებები და ქცევები — ერთად აღებული — ქმნიან პიროვნების (ინდივიდის) სხვათაგან განმასხვავებელი თავისებურების ერთობლიობას.

მეტყველების სტილია ენობრივი საშუალებების (სიტყვების, გამოთქმების, გრამატიკული ფორმების...) ის ერთობლიობა, რომელიც სხვათაგან განსხვავებული გამოხატვის სისტემას ქმნის.

სიმწყობრე, ანუ სისტემა, ენობრივი საშუალებებისა შეიძლება იყოს საყოველთაოდ მისაღებ ნორმებზე დაფუძნებული — გადმოსაცემი შინაარსის სწორად, ზუსტად გადმომცემი და გასაგებად ცხადი, ნათელი. ასეთი გამონათქვამი ობიექტური სტილის ნიმუშია. ასეთ სტილში დაცულია აზრის სიტყვიერ ფორმაში გადმომცემის მოთხოვნათა მინიმუმი. გამონათქვამი, რომელშიც დაცულია ობიექტური

სტილის მოთხოვნები (სისწორე, სიზუსტე, სიცხადე), მაგრამ ობიექტის შინაარსის მხატვრულად გადმოცემისას შეიცავს სიტყვათა, ფორმათა შერჩევა-დალაგების საკმაოდ თავისუფალ საქციელებს (ვარიანტებს), ინდივიდუალური, ანუ მხატვრული, სტილის ნიშნულია.

სტილისტიკა სტილის ბუნებას შეისწავლის. სტილისტიკა, მისი საგანი და ცოდნის მნიშვნელობა „სტილისტიკა სწავლობს ლექსიკური მარაგიდან და გრამატიკულ ფორმათა ქონებიდან ამათუ იმ საჭიროებისათვის უფრო შესაფერისი მასალის შერჩევის საშუალებასა და გამოყენების ხერხებს“ (ა. შანიძე). „სტილისტიკა შეისწავლის ენობრივ საშუალებებს მათს მიმართულებაში გადმოსაცემ შინაარსთან“ (არნ. ჩიქობავა). ჩვეულებრივ განასხვავებენ სადა, ანუ პროზაული (სასაუბრო, მეცნიერული), მეტყველებისა და მხატვრული (პოეტური) მეტყველების სტილს; სადა მეტყველების სტილს გრამატიკული (ენათმეცნიერული) სტილისტიკა შეისწავლის, მხატვრული, ანუ პოეტური, მეტყველების სტილს კი — პოეტიკური სტილისტიკა. პოეტიკურ სტილისტიკას შედარებით უდიდი ნიშნის ისტორია აქვს, გრამატიკული სტილისტიკა კი ენათმეცნიერების ახალი დარგია.

გრამატიკული სტილისტიკა, ისე როგორც ენათმეცნიერების სხვა დარგები (სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, ფონეტიკა), ჩაპოყალიბდა ენის ლექსიკისა და გრამატიკული აგებულების თანდათანობით შესწავლის პროცესში, მაგრამ გამოკვეთილი საბინ ჰქონე საენათმეცნიერო დისციპლინა იგი ჯერ კიდევ არაა. პოეტიკური სტილისტიკისა და გრამატიკული სტილისტიკის, საუნის ერთმეორისაგან გამიჯვნას აძნელებს აგრეთვე ისიც, „რომ სტილისტიკა ფსიქოლოგიისა და ლოგიკის მიჯნაზე მდგომი დისციპლინაა“ (არნ. ჩიქობავა), რის გამო სტილისტიკის ცნება ხშირად აღრეულია ფსიქოლოგიურსა და ლოგიკურს ცნებებში. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, მიახლოებით მაინც შეიძლება გრამატიკული სტილისტიკისა და პოეტიკური სტილისტიკის განმასხვავებელი ნიშნების დადგენა.

ერთი და იგივე შინაარსი შეიძლება გადმოიცეს სადა მეტყველებით, ლოგიკური თანამიმდევრობით, ან მხატვრულად, პოეტური სახეებით¹. გადმოცემის ორივე ფორმისათვის სავალდებულოა სტილისტიკური მინიმუმის დაცვა: გადმოცემულის სისწორე, სიზუსტე და სიცხადე.

¹ ზოგი ობიექტი მხოლოდ სტანდარტული (კანკლარული) სტილით გადმოიცემა, მაგალითად საქმის ქალაქები: ოქმი, ხელწერილი, მიწდობლობა და სხვ. (უჩვეულო იქნება ხელწერილის შინაარსის მხატვრულად გადმოცემა)

ერთი და იგივე შინაარსი, როცა ის სხვადასხვა პირის ნიერ სადა მეტყველებითაა გადმოცემული, შეიცავს თითქმის ერთგვარ ენობრივ მასალას (ლექსიკას, მორფემებს). ასეთ შემთხვევაში გადმომცემი შეზღუდულია მეტყველების საყოველთაოდ მიღებული წესით, კანონით. ინდივიდუალობა, რასაკვირველია, აქაც ახლავს გადმომცემლის ენობრივ გადმონაცემს, მაგრამ მეტყველების საერთო (ძლიერ ზოგადი) კანონების ფარგლებში.

პოეტური (მხატვრული) გადმოცემისას მეტყველების სტილი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, შეღარებით თავისუფალია. მაშასადამე, მეტი ინდივიდუალობაც იგრძობა მასში, ვინაიდან გადმომცემი ლოგიკურად კი არ აღწერს ობიექტს, არამედ ობიექტისაღმი თავის დაშოკიდებულებასაც ავლენს, რაც გადმონაცემში (ენობრივ მასალაში) თავისებურად აისახება, გარდა ამისა, ამ ენობრივ მასალაში ზოგი თავისებურება წმინდა მხატვრული მიზანდასახულობითაც ვაჩნდება... გაღმონაცემის ასეთი სტილი ზემოაღნიშნულის გამო სუბიექტურია, განსხვავდება ჩვეულებრივი (არამხატვრული) გაღმონაცემის სტილისაგან. გაღმოცემის ორივე ფორმა ობიექტური სტილის ზოგად კანონებს ემორჩილება, მაგრამ ცალ-ცალკე ერთიმეორისაგან განმასხვავებელი სპეციფიკური ნიშნებიც აქვთ. ამის საილუსტრაციოდ ბევრი ფაქტის მოყვანა შეიძლება; აი, თუნდაც ავიღოთ გაზაფხულის, როგორც წელიწადის დროს, აღწერა (დამახასიათებელი ნიშნები ლოგიკური აღწერით) და აკაკის „გაზაფხული“ („ვაზაფხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია“...). ამ ორი გაღმონაცემის შეღარების მავალითზე დავრწმუნდებით, რომ პირველში ენობრივი მასალა საყოველთაოდ მიღებული წესითაა შერჩეული და დალაგებული, მეორეში კი — არა. კიდევ მეტი: ამ თემაზე ბევრ სხვა პოეტსაც აქვს დაწერილი ლექსი და მათში ენობრივი მასალა სხვადასხვა პირის შემოქმედებითი ინდივიდუალობის მიხედვით თავისებურადაა გამოყენებული.

გრამატიკული სტილისტიკის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს სადა (პროზაული) მეტყველების გამომსახველობითი შესაძლებლობა და ის თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებენ მას სუბიექტური სტილისაგან.

აქედან ნათელი ხდება გრამატიკული სტილისტიკის ცოდნის ზოგადსაგანმანათლებლო და პრაქტიკული მნიშვნელობა: ინტენსიურად

უწყობს ხელს ადამიანის გონებრივ განვითარებას, მისი მეტყველების კულტურის დონის ამაღლებას¹.

ენა არის საზოგადოებრივი მოვლენა, რომელ-
ენა, მეტყველება. სტილი დასაც აქვს თავისი ლექსიკა და სემანტიკა, ფონე-
სალიტერატურო ენის ტიკური და გრამატიკული კანონების სისტემა.
ნორმები იგი კოლექტივის კუთვნილებაა, პიროვნე-
ბისაგან (მეტყველისაგან) დაპოუქიდებელი სისტემის მქონე, რომელ-
საც თავისი კანონზომიერება მართავს. ენის ბუნებას, მის კანონზომ-
იერებას ენათმეცნიერება სწავლობს. ენის კანონზომიერება ობი-
ექტური მონაცემია, მისი შეცვლა არ შეუძლია პიროვნებას, რომე-
ლიც ამ ენაში მოქმედი კანონების მიხედვით მეტყველებს².

მეტყველება პიროვნების აქტია, ენა პიროვნების მოქმედებაში. მეტყველება ეყრდნობა ენაში მოქმედ კანონებს და ენისაგან დამოკიდებულია. ენა კი მეტყველისაგან (პიროვნებისაგან) დამოკიდებული არაა. მეტყველების ფაქტი მართებული იქნება თუ უმართებულო, ამით ენაში, მისი კანონების სისტემაში არაფერი იცვლება. ენა ერთია, ან ენაზე მეტყველი კი — უპირავე. ამიტომ სხვადასხვა პირის მეტყველება ზუსტად ერთგვარი არაა. (არაერთგვარი გარემო პირობები, ანატომიური და ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი, სხვადასხვა ასაკი, განვითარებისა და განათლების სხვადასხვა დონე განსაზღვრავენ სხვადასხვა პირის მეტყველების არაერთგვარობას. ჩვენ აქ ვსაუბრობთ ენისა და მეტყველების ცნებათა განსხვავებაზე, მათს არაიდენტურობაზე. კავშირი კი მათ შორის, ცხადია, მჭიდროა. ერთ ენაზე მეტყველნი პირებიც იმიტომ უგებენ ერთმანეთს, რომ მათი მეტყველება ენაში მოქმედ კანონებს ექვემდებარება. ამრიგად, მეტყველება, მართალია, ინდივიდუალური აქტია, მაგრამ ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა, სოციალური ფუნქციის მატარებელია, სოციალური მოვლენაცაა.

სტილი და ენა ერთი და იგივე არაა. არც მეტყველება და სტილია ერთი და იგივე. მაგრამ მათ შორის მჭიდრო კავშირია. სტილი მეტყველების თანმხლებია. მეტყველების ნაირობა (არაერთგვარობა) სწორედ სტილში გამოიხატება. ენა თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ერთგვარია. მეტყველების სტილი (და არა: „ენის სტილი“) იმის მიხედვით ყალიბდება, თუ მეტყველების ფაქტის გამოსახატა-

¹ სტილისტიკის მტკიცებულ საკითხებს ეხება ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. ს. ახლანან გამოქვეყნებული საყურადღებო შრომა „ქართული ენა და მართლწერის ზოგი საკითხი“, თბ., 1965.

² პირობითი: „ი. ჭავჭავაძის ენა“, „გაყა-ფშაველას ენა“...

ვად როგორ იყენებს ინდივიდი ენაში არსებულ ლექსიკურ მარაგსა და გრამატიკულ საშუალებებს.

სუბიექტური სტილის გვერდით არსებობს ობიექტური სტილი. ობიექტური სტილი სუბიექტურ სტილს კი არ უპირისპირდება, არამედ მასაც ეხება და საერთოდ ყოველნაირ გამონათქვამში მოითხოვს საქცევების იმდაგვარ ნორმირებას, რომ მეტყველების ფაქტში წარმოდგენილი აზრი სწორი, ზუსტი და ცხადი იყოს, ერთი სიტყვით, გადმოცემი საშუალებანი ადეკვატურად გადმოსცემდეს გადმოსაცემს. ამ მოთხოვნების ნორმის დაცვა სტილისტიკურ მინიმუმადაც ჩაითვლება. პროზაული მეტყველების ფაქტში ასეთი ნორმების დაცვა აუცილებელია და შესაძლებელიც საქცევების ვარაუდითა სიმცირისა და რამდენადმე სტანდარტულობის გამო. ამით ობიექტური სტილი უახლოვდება სალიტერატურო ენის ნორმებს. სალიტერატურო ენის ნორმებიც, ეყრდნობა რა საერთო სახალხო ენის, ლიტერატურული ენის ლექსიკისა და ნორმატიული გრამატიკის მონაცემებს, მოითხოვს მეტყველმა ისე გადმოსცეს გადმოსაცემი, რომ შინაარსობრივად და ფორმობრივად უნაკლო, გამართული იყოს. მეტყველების ფაქტი, რომელშიაც დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები, სტილისტიკურადაც გამართულია; მეტყველების ფაქტი, რომელშიაც დაცულია ობიექტური სტილის მოთხოვნები, სალიტერატურო ენის თვალსაზრისითაც გამართულია. სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის ზრუნვა ობიექტური სტილის დანერგვისათვის, სტილისტიკური მინიმუმის დაცვისათვის ზრუნვას ნიშნავს.

ვინაიდან სკოლაში ქართული ენის ლექსიკა და ნორმატიული გრამატიკა ფართო მოცულობით ისწავლება, მეტად ხელსაყრელი მდგომარეობაა შექმნილი ლექსიკისა და გრამატიკის ნორმების საფუძველზე ვასწავლოთ მოწაფეებს ობიექტური სტილით მეტყველება, სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა-გამოყენება მეტყველებაში, რაც გრამატიკული სტილისტიკის საგანია და გრამატიკისა და ლექსიკის სათანადო მასალების სწავლებას დაუკავშირდება.

მხატვრული („ინდივიდუალური“, „სუბიექტური“) სტილის სწავლების საკითხი შედარებით უფრო რთულია და მრავალფეროვანია, რომელიც პოეტიკური სტილისტიკის საგანია და ლიტერატურისა და პოეტიკის საკითხების სწავლებას დაუკავშირდება.

მორფოლოგიასა და სინ-
ტაქსთან დაკავშირებულ
სტილისტიკს საკითხები

დაწყებითსა და რეაწლიან სკოლაში (და
შემდეგ კლასებშიაც) ქართული ენის მთელ
კურსთან დაკავშირებით საგანგებო ყურადღე-
ბა უნდა მიექცეს ქართული ბუნებრივი

წარმოთქმის, ბუნებრივი ინტონაციების დანერგვა-განმტკიცებას,
ლოგოკური მახვილის დაცვა-განმტკიცებას ზეპირ მეტყველებაში.

იმისათვის, რომ ნათლად გაეთვალისწინოთ გრამატიკული სტი-
ლისტიკის სპეციფიკური საკითხები, საჭიროა მათი სათანადო გრამა-
ტიკულ თემებთან დაკავშირებით წარმოდგენა.

მორფოლოგიასთან დაკავშირებულ სტი-
ლისტიკის ძირითადი საკითხები. არსებით სახელთა
დაჯგუფება „ვინ“ და „რა“ კითხვების მიხედვით. საჭირო შემთხვევა-
ში მიეკმეითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის
ფორმას გავრცობა ა ხმოვნის დამატებით: წვეკითხე მოთხრობა
ნ. ლომოურისა (და არა: ნ. ლომოურის...). -ებ-იანი და -ნ არ-თანი-
ანი მრავლობითის მონაცვლეობით ზმარება. არსებით სახელთან ში-
ნაარსობრივად შეხამებული ზედსართავის ზმარება. ზედსართავისა
და არსებითის შებრუნებული რივის (კაცი მალალი) შეზღუდულად
ზმარება. საგანთა რივის აღსანიშნავად რიგობითი რიცხვითი სახელის
ზმარება (ეცხოვრობ მე-20 საუკუნეში) და არა რაოდენობითი რი-
ცხვითი სახელისა (ეცხოვრობ 20 საუკუნეში). პირის ნაცვალსახელ-
თა ზომიერად მონაცვლეობა არსებითის, ზედსართავისა და რიცხვი-
თი სახელის ადგილას თხრობაში. ჩვენებით ნაცვალსახელთა (ეს, ეგ,
ის, იგი) ზუსტი მნიშვნელობით ზმარება. „თავისი“ და „მისი“ ნაც-
ვალსახელების თავ-თავის ადგილას გამოყენება ფრაზაში. „თვით“
(„თვითონ“), „ყოველი“, „თითოეული“ და „ყველა“ ნაცვალსახელთა
თავ-თავის ადგილას ზუსტი მნიშვნელობით ზმარება. ზმნისწინთა
ზუსტი მნიშვნელობით გამოყენება. ღროსა და კილოს შეთანხმება
თხრობაში ანმყო დროში მდგარი ზმნის გადაყვანა ნამყოში და პი-
რუკუ. თხრობით კილოში მდგარი ზმნის გადაყვანა კავშირებითში და
პირუკუ. ერთი მწკრივის ფორმაში მდგარი ზმნის გადაყვანა მეორეში
და სხვ. მოქმედებითი გვარის ზმნის გადაყვანა ვნებითში და პირუკუ.
სათავისო ქცევის ზმნის გადაყვანა სასხვისოსა და საარვისოში და პი-
რუკუ. უშუალო კონტაქტის ზმნის გადაყვანა უშუალობითში და პირუ-
კუ. სახელზმნის გადაყენება ზმნად და პირუკუ. თავისებური ზმნების
ზუსტი მნიშვნელობითა და მართებული ფორმით ზმარება.

ზმნასთან ღროს აღმნიშვნელი ზმნიზედის მიცემით ბრუნვაში
ზმარება: არდადეგები მთელ ზაფხულს გრძელდება (და არა: არდა-
დეგები მთელი ზაფხული გრძელდება). მიზეზისა და ზმნის ზმნიზე-

დების თავ-თავისი კითხვების მიხედვით ხმარება: რატომ? იმ-რატომ ვერ მოველი... რისთვის? იმისთვის ავანტაჟი. ვითარების, ზომა-ოდენობის, კითხვითი და მიმართებითი ზმნაზღვების ბუნებრივი ადგილის მიჩენა წინადადებაში: დიდი ლოდი ერთბაშად მოსწყდა კლდეს, ან: ერთბაშად დიდი ლოდი მოსწყდა კლდეს. ან: დიდი ლოდი მოსწყდა კლდეს ერთბაშად (და არა: დიდი ერთბაშად ლოდი მოსწყდა კლდეს, ან: დიდი ლოდი მოსწყდა ერთბაშად კლდეს). ზმნიხედა ჩვეულებრივ წინ უნდა უსწრებდეს ნახმარ სახელებს ზედსართავებს: კარგად ამალეებული ადგილი (და არა: ამალეებული კარგად ადგილი); სწრაფად კითხვა ვისწავლე (სულ სხვა შინაარსი იქნება: კითხვა სწრაფად ვისწავლე). ლამაზად დახატული სურათი გამოკიდეს (და არა: სურათი დახატული ლამაზად გამოკიდეს). ზმნიხედა არ უნდა აგრიოთ ზედსართავში: ნიკომ ისწავლა ლამაზად წერა (და არა: ნიკომ ისწავლა ლამაზი წერა)!

თ-ხდესულთან დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები. რიგ შემთხვევაში თანდებულებანი ფორმების აცილება: ქეთევანი¹ დახატული სურათი მომეწონა (და არა: ქეთევანისაგან დახატული სურათი მომეწონა); ნიკო ცოლ-შვილით მესტუმრა (ნაცვლად; ნიკო ცოლ-შვილითურთ მესტუმრა). ერთგვარი თანდებულების აცილება. თანდებულს შერჩევით ხმარება (სამშობლოსათვის თავგანწირული და არა: სამშობლოსადმი თავგანწირული). და, მაჯრამ, რომ... კავშირების ზუსტი მნიშვნელობით ხმარება. მაიჯივებელი კავშირისა (ანუ. ე. ი.) და მაკალევებელი კავშირის (ან) თავ-თავის ადგილას ხმარება.

ნაწილაკთან დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები: ნაწილაკი სიტყვის მნიშვნელობას სხვა ელფერს აძლევს; შდრ.: „ბავშვმაც კი იცის. რის რა! კაკო“ და „ბავშვმა იცის, ვინ არის კაკო“; „ხუთიოდე ცხვარი მყავდა“ და „ხუთი ცხვარი მყავდა“; „ვახტანგმა დაანგრა და მანვე ააშენა“ და „ვახტანგმა დაანგრა და მან ააშენა“; „ორილა დამრჩა“ და „ორილა მამრჩა“. არ და ვერ უარყოფითი ნაწილაკების ზუსტი მნიშვნელობით ხმარება. „მხოლოდ“ ნაწილაკისა და „ხოლო“ კავშირის თანაბრად ფუნქციის მიხედვით ხმარება. ჰო, კი, დიაღ და დასტურებითი ნაწილაკების თავ-თავის ადგილას ზუსტი მნიშვნელობით ხმარება: „მწყერები მაშინ მოილევიან, როცა სამალავი და საფარი აღარ არის მიხედვებში. — დიაღ, შეჰოჯვომაზე მწყერი ილევა“ (ი. ჭავჭავაძე). სტილისტიკურად აქ „დიაღ“ უფრო ბუნებრივია, ვიდრე „ჰო“ ან „კი“ ნაწილაკები.

¹ ზმნიხედასთან დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები დაწერილებით განხილულია ი. ა. ჩხაიძის შრომაში „ქართული ზმნიხედის სწავლება სკოლაში“, 1956, გვ. 145—164.

ერთისა და იმავე შორისდებულის (მაგ.: ეპ...) სხვადასხვა შინა-
არსის შესაბამისი ინტონაციით წარმოთქმა და ხმარება ფრაზაში:
„მაგრამ, ეპ, ძაო, რაც იყო, იყო, — გოჯოხეთია მოსაკონებლად“
(ი. ჭავჭავაძე). „ეპ“ აქ ღანანების გრძნობას გამოხატავს. „ეპ“. (ნეტავი)
ღღეს ნიკოს ვნახავდე! „ეპ“ აქ ნატვრის გრძნობას გამოხატავს...

სინტაქსთან დაკავშირებული სტილისტიკის
საკითხები. წინადადების გაცნობასთან დაკავშირებით ყურად-
ღება მახვილდება იმაზე, რომ აზრის გადმოცემა შეიძლება ერთ და
ერთზე მეტსიტყვიანი წინადადებით: წვიმს. ჩიტი გალობს. პატარა
ჩიტი გალობს. პატარა ჩიტი საამურად გალობს... რამდენიმე სიტყვი-
ან წინადადებაში სიტყვები ერთმანეთთან შინაარსობრივად და დაკავ-
შირებული (არ შეიძლება: „ბუმბერაზი მერცხალი“...).

ზოგი ზმნა — შემასმენელი, ცალკე აღებული, გამოხატავს გარ-
კვეულ აზრს (გაზაფხულდა), მაგრამ ზოგჯერ სამი სიტყვაც ვერ
გამოხატავს აზრს, თუ მათთან ზმნა — შემასმენელი არაა (ერთმა
უგნურმა თავუნამ...). სინტაქსური კავშირი წვევრებს შორის აუცი-
ლებელია, ისე გაუგებარი იქნება აზრი: „პატარამ ჩიტსა საამურის
ვგალობ“ — გაუგებარი შინაარსისაა. სიტყვები წინადადებაში ერთმა-
ნეთს შეეხამება არა მარტო შინაარსის მიხედვით (ლექსიკურად, სე-
მანტიკურად), არამედ ფორმობრივადაც (მორფოლოგიურად, სინ-
ტაქსურად). წინადადებაში სიტყვები გარკვეული რიგით ლაგდება:
„ერთმა უგნურმა თავუნამ იუკადრისა თავგობა“ (და არა: ერთმა
თავგობა თავუნამ უგნურმა იუკადრისა; ან: თავგობა ერთმა თავუ-
ნამ იუკადრისა უგნურმა...). მესამე პირის მეშველი ზმნის გაშლილი
და შეკვეცილი ფორმის კონტექსტის მიხედვით შერჩევით ხმარება:
ბავშვი სკოლაშია წასული (ნაცვლად: ბავშვი სკოლაში არს წასუ-
ლი). აღწერილობითი ვნებითის ფორმის შეცვლა მარტივი ზმნით:
გავზავნილ იქნა — გაიგზავნა; დაწერილ იქნა — დაიწერა... ერთ-
მარცვლიანი ზმნის წინ მდგარი სახელის გავრცობილი ფორმით ხმა-
რება: ხელი რკინისა აქვს (ნაცვლად: რკინის...).

ქვემდებარისა და შემავსენლის შინაარსობრივი შიხამება: ცხენი
ჭიხვინებს, ვირი ყროყინებს (და არა: ცხენი ყროყინებს ან ბლავის,
ვირი ჭიხვინებს ან ბლავის...); ბეჯითმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოი-
ღო (და არა: მოიქა). კამეჩს დიდი ღონე აქვს (და არა: ... გააჩნია).

მსაზღვრელისა და საზღვრულის შინაარსობრივი შეხება (სი-
ნონიმების მართებულად გამოყენება): მაღალი მთა, ტყიანი მთა, ან
მიუვალი მთა, ან მიუწვდომელი მთა... (და არა: მსხვილი მთა, მძიმე
მთა...). წრფელი ადამიანი (და არა: წრფელი ცოღნა, წრფელი ნამუ-

შეგარი...), გეპრიელი ლობიო მიირთვა (და არა: ტკბილად ლობიო მიირთვა).

ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად მოქმედებითი ბრუნვისაგან ნაწარმოებ მსაზღვრელს მიცემითში ს დაერთვის მიუცემითში დასმულ საზღვრულთან: საავტომობილო ქარხანამ შრომითს აღმავლობას მიადრია (სხვა შინაარსისა: საავტომობილო ქარხანამ შრომით აღმავლობას მიადრია). სახელდებითი წინადადების ზომიერად გამოყენება თხრობაში. მარტივი გაუვრცობელი წინადადების გადაკეთება გავრცობილად და გავრცობილისა — გაუვრცობლად. მარტივ გავრცობილ წინადადებაში შემავალი სიტყვების მართებულად განლაგება: მუშებმა წლიური გეგმა ვადამდე ორი თვით ადრე შეასრულეს; ან: მუშებმა წლიური გეგმა შეასრულეს. ვადამდე ორი თვით ადრე (და არა: ვადამდე მუშებმა შეასრულეს ორი თვით ადრე წლიური გეგმა...). მარტივ გავრცობილ წინადადებაში შემასმენლის წინ წამოწევა: ერთი მშვიერი მელა განთიადისას ესტუმრა სოფლის განაპირა ეზოში აგებულ საქათმეს (და არა: ერთი მშვიერი მელა სოფლის განაპირა ეზოში აგებულ საქათმეს განთიადისას ესტუმრა).

ერთგვარ დაბოლოებათა აცილება: მოვისმინეთ იმ კომისიის დასკვნა, რომელმაც შეამოწმა ტრესტის გეგმის შესრულება (და არა: მოვისმინეთ ტრესტის გეგმის შესრულების შემოწმებული კომისიის დასკვნა).

შერწყმულ წინადადებასთან დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები: თუ ერთგვარი წევრი ორია და ისინი დაშატებებია ან გარემოებანი, თანაც მათ ერთი და იგივე თანდებული მოუღიოთ, მაგრამ და-თია დაკავშირებული, სჯობს პირველი წევრი გავრცობილი ბრუნვის ფორმით ვიხაროთ და თანდებული მხოლოდ მეორე წევრს დავუტოვოთ: ღედისა და მამისაგან, მცხეთასა და გორში. მაგრამ, თუ ერთგვარი წევრი ორზე მეტია და მათ ერთი და იგივე თანდებული მოუღიოთ, მაშინ ერთგვარ წევრებთან თანდებული განმეორდება, „და“-ს წინ მდგარი წევრი კი თანდებულს არ დაირთავს, არამედ ბრუნვის გავრცობილი ფორმით წარმოადგება: ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; ვაზი კარგად ხარობს გურჯაანში, თელავსა და სიღნაღში.

რამდენიმე შემასმენლიანი წინადადებით მოქმედების ან მღვთმარეობის ერთღროულობის, თანამიმდევრობისა და დაპირისპირების გაღმოცემა: „აღგა, ამხედრდა მელია, უღვაშს გაღისო ხელია“ (ვაჟა); „ბავშვი სკოლაში წავიდა და სწავლას შეუღდა“ (და არა: „ბავშვი სწავლას შეუღდა და სკოლაში წავიდა“); „ნინიამ დაახლოთოფი, მაგრამ აცღინა“ (ვაჟა) (და არა: „ნინიამ ააცღინა თოფი, მაგ-

რამ დააბალა“). ერთგვარი წევრებიც იმ ბრუნვის ფორმაში დაღვება, რომელშიაც განმაზოვადებელი სიტყვაა: გეგმა გადაქარბებით შეასრულეს მუშებმა: მიქაძემ, გიორგაძემ, ახალკაცმა და მკეღლიშვილმა (და არა: გეგმა გადაქარბებით შეასრულეს მუშებმა: მიქაძე, გიორგაძე...); გეგმა გადაქარბებით შეუსრულებიათ მუშებს: მიქაძეს, გიორგაძეს, ახალკაცსა და მკეღლიშვილს (და არა... მიქაძე, გიორგაძე...). რამდენიმე ერთგვარშემასმენლიან წინადადებასთან „უნდა“ ნაწილაკის განმეორების აცილება: ნინო დილით აღრე უნდა ადგეს, პირი დაიბანოს და სკოლაში წავიდეს (და არა: ნინო დილით აღრე უნდა ადგეს, უნდა პირი დაიბანოს და უნდა სკოლაში წავიდეს...), მაგრამ განმეორება ზოგჯერ აუცილებელია და მოხდენილიც: „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს“ (ი. ჭავჭავაძე).

მარტივი გავრცობილი წინადადებების გადაკეთება რამდენიმე ერთგვარწევრიან წინადადებად. შერწყმული წინადადების გადაკეთება რამდენიმე მარტივ წინადადებად. კავშირიანი შერწყმული წინადადების გადაკეთება უკავშიროდ და პირუკუ.

მარტივი გავრცობილი, გაუვრცობელი და შერწყმული წინადადებების მონაცვლეობა თხრობაში.

განკერძობულ სიტყვებსა და გამოთქმებთან დაკავშირებული სტილასტიკის საკითხები: დანართთან მაიგივებელი კავშირების „ანუ“-სა და „ესე იგი“-ს შერჩევით მონაცვლეობა: „მტკვარი, ე. ი. საქართველოს ყველაზე დიდი მდინარე“ (აქ „ესე იგი“ სჯობს „ანუ“-ს, თუკა ორივეს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს). მაივივებელ კავშირად გამოყენებულ სიტყვათა ზუსტი მნიშვნელობით ხმარება: ციტრუსი, განსაკუთრებით ლიმონი, ძლიერ სასარგებლოა ორჯანზმისათვის (და არა: ციტრუსი, მაგალითად, ან: კერძოდ, ან: სახელდობრ ლიმონი, ძლიერ სასარგებლოა ორჯანზმისათვის), ვინაიდან სიტყვა, განსაკუთრებით ყველაზე მეტად ვახაზავს ციტრუსებში ლიმონის უფრო მეტ სარგებლიანობას. უკავშიროდ დანართში სასეენი ნიშნების — მპიპის, ტირესა და ფრჩხილების — შერჩევით მონაცვლეობა: სახედარი (ვირი) სასარგებლო ცხოველია, სახედარი — ვირი — სასარგებლო ცხოველია (და არა: სახედარი, ვირი, სასარგებლო ცხოველია). უკანასკნელ ვარიანტში მპიპე მკაფიოდ ვერ გამოყოფს დანართს და, მოსალოდნელია, ის (დანართი) ერთგვარ წევრად წარმოგვიდგეს. როცა შერწყმულ წინადადებაში დანართი ერთგვარი წევრების მქმართ განმაზოვადებელი მნიშვნელობის მატარებელი სიტყვა, წინადადებისაგან ტირეებით ან ფრჩხილებით უნდა გამოიყოს: შაქრო და ოთარი — ორივე — კარგად სწავლობენ; ან: შაქრო და ოთარი (ორივე) კარგად

სწავლობენ (და არა: შაქრო და ოთარი, ორივე, კარგად სწავლობენ), უკანასკნელ ვარიანტში მძიმე რელიეფურად ვერ გამოყოფს დანართს და, მოსალოდნელია, ის — დანართი — ერთგვარ წევრად მიიჩნიოს კაცმა).

ასევე, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ტირეან ფრჩხილები ვინმართ ისეთი დანართის გამოსაყოფად წინადადებისაგან, რომელიც შერწყმული წინადადების რამდენიმე ერთგვარი წევრიდან მხოლოდ ერთ-ერთს ახლავს: დარეჯანი, ლუარსაბი და დავითი — ლუარსაბის ძმა — საზოგადოების ზედმეტ ბარჯს წარმოადგენენ; ან: დარეჯანი, ლუარსაბი, დავითი (ლუარსაბის ძმა) საზოგადოების ზედმეტ ბარჯს წარმოადგენენ; ან ასე: დარეჯანი, ლუარსაბი, დავითა — ლუარსაბის ძმა, ელისაბედი — ლუარსაბის რძალი, საზოგადოების ზედმეტ ბარჯს წარმოადგენენ (და არა: დარეჯანი, ლუარსაბი, დავითი, ლუარსაბის ძმა, ელისაბედი, ლუარსაბის რძალი, საზოგადოების ზედმეტ ბარჯს წარმოადგენენ). უკანასკნელ ვარიანტში შეიძლება წინადადების ერთგვარ წევრებად ჩათვალოს კაცმა დანართი: „ლუარსაბის ძმა“, „ლუარსაბის რძალი“. კავშირიანი დანართის შეცვლა უკავშიროთი და პირუკუ. დანართი იმ სიტყვის მნიშვნელობას უმეტეს შემთხვევაში სრულად ფარავს, რომელსაც დაერთვის. განკერძოებული განსაზღვრება (ან ვანკერძოებული გარემოება) კი არასოდეს არ ფარავს იმ წევრის მნიშვნელობას, რომელსაც ერთვის, არაქედ მის (მნიშვნელობის) რომელიმე მხარეს გახაზავს (შღრ. დანართი: „ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიყაშვილი)“; ან: „ვაჟა-ფშაველა — ლუკა რაზიყაშვილი“. „კრაზანა, ანუ ბზიკი, მწარედ იკბინება“. განკერძოებული განსაზღვრება: „ფუტკარი, ჭაფისაჯან დალილი, წყალში ჩაეარდა“ (ი. ევლ.); განკერძოებული გარემოება: „საწერეთლოში, ზემო იპერეთში, ბევრი კარჯი სოფელია“ (ა. წერ.). „მეორედღეს, დილათ ადრე. გამოსულიყო ზაალ აივანზე“ (ა. წერ.). განკერძოებულ წევრიანი წინადადების შეცვლა შერწყმული წინადადებით ან მარტივი წინადადებით და პირუკუ. განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ხშირად ან უადგილოდ ხმარების აცილება.

რთულ თანწყობილ წინადადებასთან დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები: რთულ თანწყობილ წინადადებაში მარტივ წინადადებათა აზრობრივი ურთიერთმიპართება გარკვეულ ლოგიკურ წესებს ემორჩილება; დაცულია ერთდროულობა: „ყოღალა ხეს უკაუენებს და ტოროლა ცაში ვალობს“ (რ. ერ.); ასეთ წინადადებაში მარტივი წინადადების ადგილის შეცვლა თავისუფლად შეიძლება. დაცულია თანამიმდევრობა: „ქარი ჩაეარდა და განთიადთან ერთად ნისლი ვაჭრა“ (ა. ყაზბ.). ასეთ წინადადებაში შემაჯავლი მარტივი წი-

ნადავლებების ადგილის შეცვლა აბუნდოვანებს აზრს. დაცულია დაპირისპირება: „ძალეები გამოეხივნენ, მაგრამ ყმაწვილმა თუშმა მოაშორა“ (ა. ყაზბ.). აქ მარტივი წინადადების ადგილის შეცვლა აბუნდოვანებს აზრს.

რთული თანწყობილი წინადადების გადაკეთება შერწყმულ წინადადებად ან ზაშლა მარტივ წინადადებად.

კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადების გადაკეთება უკავშირო წინადადებად, უკავშირო თანწყობილი წინადადებისა — კავშირიანად.

რთულ თანწყობილ წინადადებაში შემასმენლის ზედმეტად განმეორების აღკვეთა: გივი სახლს ხატავს და შაქრო კი — ზღვას (და არა: გივი სახლს ხატავს და შაქრო ზღვას ხატავს).

რთულ ქვეწყობილ წინადადებასთან დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები: ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების სხვადასხვა ადგილას ხმარება: „ცეცხლი ყველაფერს მოსდებოდა, რაც კი რამ ძვირფასი იყო“; „რაც კი რამ ძვირფასი იყო, ყველაფერს ცეცხლი მოსდებოდა“; „ყველაფერს, რაც კი რამ ძვირფასი იყო, ცეცხლი მოსდებოდა“.

„ვინც“, „რაც“, „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელების ზუსტი მნიშვნელობით გამოყენება ქვეწყობილ წინადადებაში: „კაცი ის არის, ვინც მამულს გამოაღვება შვილად“ (და არა: „კაცი ის არის, რაც მამულს“... ან: „რომელიც მამულს“...), „ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდი“ (და არა: რომელსაც ვნატრობდი“...).

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების შემკველი რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და პირუკუ. დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემკველი რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და პირუკუ.

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელის არსებითი სახელით (ან ნაცვალსახელით) გამოხატულ წევრთან მართებულად გამოყენება: „ყმაწვილი, რომელიც კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებისაგან სრულიად მოწყვეტილია“; „ის, რომელიც...“, „წავიკითხე თქვენი ნაწერი, რომელიც მომეწონა“.

ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად შემასმენელთან ახლო არ უნდა იდგეს მიმართებითი ნაცვალსახელი, ვინაიდან ეს უკანასკ-

1 სახელმწიფოსთან (განსაკუთრებით საწყისთან) მომეტებულად სჭობს „რაც“ მიმართებითი ნაცვალსახელის ხმარება, ვიდრე „რომელიც“ ნაცვალსახელისა: „დიასახლისი შეუდგა ჭურჭლის რეცხვას, რაც დიდხანს გაგრძელდა“ (და არა: „რეცხვას რომელიც“...).

ნელი განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს: „ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონისეს, რომელიც მოსვლის შემდეგ ყველაზე მეტს მხიარულობდა“ (და არა: ყველანი ონისეს სიხარულით მიეგებნენ, რომელიც მოსვლის შემდეგ...). მამართებითი ნაცვალსახელი შემასმენელთან მეზობლობაში მაშინაა დასაშვები, თუ მთავარშია მისათითებელი სიტყვები (ის, იმ, ისეთი...): „იმ ამბანაგის წერილი მივიღე, რომელიც ქუთაისში გაგაცანი“; „ნინო ისეთი ხასიათისაა, როგორისაც დედამისი“.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და პირუკუ. ღროისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და პირუკუ.

მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების აღრევის აცილება თხრობაში: მიზეზისა მიუგებს კითხვაზე: რატომ? „ონოფრეს მუშაობა ბევრ ხანს აღარ მოუნდა, რადგანაც თოვლი ჭერ ფიფქი იყო“. მიზნისა: რისთვის? „ცოტა დაისვენე, რომ აღრიანად ვეწიოთ საქმეს“.

პირდაპირი სიტყვის გადაკეთება ირიბად და ირიბისა — პირდაპირად.

სიტყვათა რიგის სიმტკიცე იდიომატურ გამოთქმებში, განუყოფელ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში („წელებზე ფეხს იღვამს...“), ანდაზებში („თაგმა თხარა, თხარა, კატა გამოთხარა“), აფორიზმებში („ათას ცოცხალსა ბევრჯერა ასჯერ სჯობს ერთი მკვლარია“...), აზრის სიცხადის, სიზუსტისა და სისწორის დასაცავად ზედმეტ განმეორებათა (სიტყვის, ნაწილაკის, კავშირის, წინადადების) აღკვეთა ზეპირმეტყველებასა და წერაში.

თხრობაში ნაცვალსახელის იმ წევრთან შეთანხმება რიცხვში, რომელსაც ნაცვალსახელი ცვლის: კო ლ მ ე უ რ ნ ე ს ი მ ი ნ დ ს თ ე ს ა ვ ს . ის ერთგულად უვლის ნათესს. კო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს ი მ ი ნ დ ს თ ე ს ა ვ ს . ის ერთგულად უვლის ნათესს. კო ლ მ ე უ რ ნ ე ე ბ ი ს ი მ ი ნ დ ს თ ე ს ა ვ ე ნ . ის ი ნ ი ერთგულად უვლან ნათესს. გამოჩანდა რ ა მ დ ე ნ ი მ ე ჯ ა რ ი ს კ ა ც ი . ის ი ნ ი თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი. სიტყვათა, კავშირთა, ნაწილაკთა ზუსტი მნიშვნელობით ხმარება.

გრამატიკულ სტალისტიკასთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებს გარდა, დამატებით: არქაიზმის, პლეონაზმის, პროვინციალიზმის, ბარბარიზმის, მრავალსიტყვაობის, „ფრაზიორობის“, შტამპის, კალკის აცილება მეტყველებაში; ქართულის ბუნებისათვის დამახა-

სიათბელი კონსტრუქციების დამკვიდრება, თხზულებისა და შინა-
არსის გაუმჯობესებაში თანამიმდევრობის დაცვა, მონოლოგიური ფორ-
მის თხზულების გადაკეთება დიალოგიური ფორმით და პირუკუ
და ა. შ.

სტილისტიკურ შეცდომას, ისე როგორც სხვა
სტილისტიკური შეც- ტიპის შეცდომას, აქვს საკუთარი ნიშნები. ამ
დომების თავისებურება ნიშნებით ის განსხვავდება ორთოგრაფიული,
მორფოლოგიური და სინტაქსური ხასიათის
შეცდომებისაგან. სტილისტიკური შეცდომის დამახ-სიათბელი
ნიშნების დანახვა ადვილი არაა. მოწაფე კარგად უნდა
ერკვეოდეს მეტყველების სხვადასხვა სახის შეცდომაში, რომ
იქედან გამოყოს სტილისტიკური ხასიათის შეცდომა. სტილის-
ტიკური შეცდომებიც თავის მხრივ მრავალი სახისაა და ესეც
აძნელებს მათს გამონაწევრებას არასტილისტიკური ხასიათის შეც-
დომებისაგან. მომეტებულად ერევათ ერთიმეორეში სინტაქსური და
სტილისტიკური ხასიათის შეცდომები, რის შედეგადაც სტილისტი-
კურ შეცდომას მიიჩნევენ სინტაქსურ შეცდომად და სინტაქსურს
კი — სტილისტიკურად. სინტაქსი სწავლობს წინადადებაში სიტყვა-
თა ურთიერთობის წესებს. სტილისტიკის სახანია სიტყვათა ურთი-
ერთობა მნიშვნელობის მიხედვით. ორივე შემთხვევაში სიტყვათა
ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ პირველ შემთხვევაში შესი-
ტყვეების სტრუქტურა, ე. ი. სიტყვების ერთიმეორესთან მართებუ-
ლად დაკავშირების წესი, ღვას ყურადღების ცენტრში; მეორე შემ-
თხვევაში კი სიტყვათა ერთიმეორესთან იმგვარად შეწყობა-შეხამე-
ბა, რომ თითოეული სიტყვა შინაარსისა და ადგილის მიხედვით ბუ-
ნებრივ მდგომარეობაში იყოს ფრაზაში. შესიტყვება შეიძლება სინ-
ტაქსურად მართებულად იყოს აგებული, მაგრამ იგი სტილისტიკუ-
რად არ იყოს გაპართული, ან სინტაქსურადაც უპართებულო იყოს
და სტილისტიკურადაც. წინადადებაში — „თორნიკე სასოებით ეკვე-
თა მტერს“ — სინტაქსურად ყველაფერი რიგზეა: სიტყვათა ურთი-
ერთობა, წინადადების აგებულება მართებული ფორმითაა წარმოდ-
გენილი. მაგრამ სტილისტიკურად (შინაარსის მიხედვით) შეუფერე-
ბელია ასეთი შეხამება: „სასოებით ეკვეთა“. „სასოების“ მაკიერ ბუ-
ნებრივი იქნება: „მედვრად“, „შეუპოვრად“ და სხვ. გრამატიკულ
(სინტაქსურ) შეცდომას არ შეიცავს წინადადება — „კრიტიკოსი
პოის მწერლის შემოქმედების განხილვის საქმეს შეუდგა“, მაგრამ
ამდენი სიტყვის ზედისზედ ნათესაობითის ფორმაში წარმოდგენა
ერთგვარად აბუნდოვანებს, ულახათოს ზღა' მეტყველების სტილს
და ვამბობთ: წინადადება სტილისტიკურად გაუმართავიაო. ამრიგად,

სტილისტიკურ შეცდომას გარკვეული ჰპეციფიკური ნიშნები აქვს. წინადადება — „განარისხებულმა ზღვამ, ვეპი უგჩანობლათ დაშალეს“ — შეიცავს სხვადასხვა სახის შეცდომას: ორთოგრაფიულს („უგრძნობლათ“), სინტაქსურს („ზღვამ დაშალეს“), პუნქტუაციურს (ქვეშევბარე „ზღვამ“ კვიპითაა გამოყოფილა), სტილისტიკურს (სიტყვა „უგრძნობლად“ შინაარსობრივად შეუფერებელია). ეს წინადადება საერთოდ გაუპართავია სტილისტიკურად.

სტილზე უარყოფითად მოქმედებს გრამატიკული, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები. რამდენადაც ენობრივი მონაცემები ასეთი შეცდომებისაგან თავისუფალაა, იმდენად მეტყველების სტილი ნათელია.

სტილისტიკური შეცდომების გამომწვევი მისტილისტიკური შეცდომების უმეი მრავალია; აღვნიშნოთ უმთავრესი:

და მათი გამომწვევი მიზეზები

1. უწინარეს ყოვლისა, სუსტი ცოდნა გადმოსაცემი ობიექტის შინაარსისა, მართალია, სტილისტიკა სწავლობს ენობრივ მასალათა გამოყენების ხერხებს ამა თუ იმ შინაარსის გამოსაცემად, მაგრამ გადმომცემისათვის, უწინარესად, გადმოსაცემი ობიექტის, მისი შინაარსის ცოდნაა აუცილებელი. შეიძლება აღამიანს კარგად ეხერხებოდეს აზრის გადმოცემად შესაფერისი შინაარსის სიტყვების შერჩევა და სათანადო გრამატიკული ფორმების შერჩევა-გამოყენება, მაგრამ არა გამოუვა არა, თუ კარგად არ იცნობს იმ საგანს, რომლის შინაარსის გადმოსაცემადაც ესაჭიროება ეს ენობრივი მასალა. ამრიგად, სტილისტიკური შეცდომების გამომწვევი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გადმოსაცემი ობიექტის არასაფუძვლიანი ცოდნაა.

2. ლექსიკური მარაგის სიღარიბე, გრამატიკის არასაფუძვლიანი ცოდნა.

3. მოწაფეს შეიძლება კარგად ესმოდეს გადმოსაცემი ობიექტის შინაარსი, ჰქონდეს სათანადო ლექსიკური მარაგი და იცოდეს გრამატიკული წესებიც, მაგრამ ვერ ავლენდეს სათანადო მნიშვნელობის სიტყვებისა და გრამატიკული წესების შერჩევა-გამოყენების უნარჩვევას (რაც ვარჯიშობის საფუძველზე უნდა გამომუშავდეს).

4. მოწაფემ შეიძლება იცოდეს გადმოსაცემი ობიექტის შინაარსიცა და გადმოცემის წესებიც, მაგრამ აზროვნების დაბალი დონის გამო ვერ ახერხებდეს ენობრივი საშუალებებით აზრის სწორად, ზუსტად და ცხადად გადმოცემას, გადმოცემაში აზრების ლოგიკური თანამიმდევრობით დალაგებას, მწყობრ თხრობას.

5. მოწადეს შესაწავლად შეიძლება ექლოდეს ისეთი მასალა, რომელიც ძნელად ასათვისებელი, გასაცნობიერებელია; ითვისებდეს მას ზერეოდ, არაპტკიცედ, რის გამო ვერ ვადმოსკემდეს მის შინაარსს დალაგებულად, სათანადო ენობრივი ფორმით, ძეტყველების ნათელი სტილით.

6. ზოგჯერ მოწადე სხვისი მზამზარეული აზრებითა და ფრაზებით იკვებება და ძალას არ ატანს თავს — დამოუკიდებლად იაზროვნოს საგანზე, გადმოცემის საშუალებებზე.

7. ხშირი შემთხვევაა, როცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი არ აქცევს სათანადო ყურადღებას სტილისტიკის ელემენტების სწავლებასა და მოწადის სტილზე მუშაობას: არ ტარდება ფრაზის გამართვაზე ვარჯიზობა, გლობსაცემი შინაარსის გეგმის შედგენაზე ვარჯიზობა, არ ტარდება მიზნობრივი სავარჯიშოები სტილისტიკაში ლიტერატურული ტექსტებისა და გრამატიკული მასალის სწავლებასთან დაკავშირებით.

8. სხვადასხვა საგნის სწავლებისას ზოგი მასწავლებელი ნაკლებად ზრუნავს გადმოცემის სისწორეზე, სიზუსტესა და სიცხადეზე; საკუთარი ძეტყველებისას გაკვეთილზე სტილისტიკური მანიშუმის დაკვაზე და სხვ.

სტილისტიკური შეცდომების ანალიზი

სტილისტიკური შეცდომები, რომლებიც საშუალო სკოლის მოსწავლეთა ზეპირსა და წერიტს ძეტყველებაში გვხვდება, უმთავრესად შემდე-

გი სახისაა:

1. სიტყვა ფრაზაში ზუსტი მნიშვნელობით არაა გამოყენებული: ერთი სიტყვის ნაცვლად მეორეა ნახმარი, რაც ვადმოსაცემ შინაარსს ბუნდოვანს ზღის. ასეთი სიტყვა შეიძლება სრულმნიშვნელოვანი ან არასრულმნიშვნელოვანი იყოს; მაგალიტები: „პოეტი უმღერის სიყვარულის მოტივს“. ეს ორი სიტყვა — „უმღერის პოტივს“ — შეუხამებელია ერთიმეორესთან შინაარსობრივად. „ლუარსაბი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ბატონყობის“. შინაარსობრივად შეუხამებელია: „მნიშვნელოვანი წარმომადგენელია“, „ლუარსაბი წარმომადგენელია ბატონყობის“ (უნდა: „თავადების“ ან „ბატონების“, ანდა „თავადთა წოდების“ და სხვ.); „ოთარაანტ ქვრივი განიცდის ხასიატის სიმტკიცეს“. არ ვარგა: „განიცდის ხასიატის სიმტკიცეს“. შეიძლება ადამიანმა განიცადოს სიხარული, მწუხარება და სხვა, მაგრამ „ხასიატის სიმტკიცის განცდა“ არ შეიძლება. ასევე შინაარსობრივად შეუხამებელია შემასმენელი ამ წინადადებაში: „პოეტი ეროვნულ საკიტხს ატარებს „თორნიკე ერისთავში“. არაზუსტი მნიშვნელობი-

თაა ნახპარი გ ა ნ ს ა ზ ლ ე რ ე ბ ა : „ღესპინემ წრფელი ცოდნა გამოიჩინა“. „წრფელი“ აქ შინაარსობრივად არ ეხამება „ცოდნას“.

არაზუსტი მნიშვნელობით გამოყენებული ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი : როგორც წესი, ქართულში „ვინ“ კითხვა დაესმის ადამიანს, „რა“ კითხვა კი — ადამიანის გარდა, ყველას. შეედომით „ვინ“ კითხვას არაადამიანსაც უსვამენ (ვინ? ძროხა, ბულბული...). „მისი“ და „თავისი კუთვნილებითი ნაცვალსახელებს მნიშვნელობა ზშირად ერევათ ერთმანეთში. სადაც საჭიროა „თავისი“, იქ გამოყენებულია „მისი“. ანდა პირიქით: საჭიროა „მისი“ და გამოყენებულია „თავისი“. „მეზალე მათ ბაღს ბარავს, მისი ბაღი კარგ მოსავალს იძლევა“. უნდა იყოს: „მეზალე თავის ბაღს ბარავს, მისი ბაღი კარგ მოსავალს იძლევა“. „თავისი“ მაშინ იხმარება, როცა სუბიექტის (ქვემდებარის) მოქმედება სუბიექტისავე კუთვნილ საგანზე ვრცელდება („მეზალე თავის ბაღს ბარავს“). „მისი“ მაშინ იხმარება, როცა სუბიექტის კუთვნილ საგანზე (ობიექტზე) სუბიექტის (ამ შემთხვევაში: მეზალის) მოქმედება არ ვრცელდება („მისი ბაღი კარგ მოსავალს იძლევა“).

მესამე პირის ნაცვალსახელი „მათ“ („ამათ“, „იმათ“) კუთვნილებითის ფორპითაა წარმოდგენილი: „მათმა“ („ამათმა“, „იმათმა“); მაგალითად: „მათმა პეტრე გაძარცვეს“. „მათ“ აქ მესამე პირის ნაცვალსახელია და არ ირთავს მოთხრობითი ბრუნვის ნიშან მ ა ს; „მ ა თ“ („ ი მ ა თ“, „ამათ“) თავისთავად ღვას მოთხრობითს ბრუნვაში; მას მრავლობითი რაცხვის „ძველი“ საწარმოებელი თ ახლავს (მა-თ). მაშასადამე, შეცდომაა, როცა წერენ ან აპბობენ: „მათმა არჩიეს მდინარის ვადალაზხვა“. „იმათმა რამდენჯერმე გაისროლეს თოფები“ (უნდა: მათ აირჩიეს...; მათ რამდენჯერმე გაისროლეს...). თუ მ ა თ კუთვნილებითი ნაცვალსახელია და მსაზღვრელადაა გამოყენებული, მაშინ იგი საზღვრულს ეთანხმება მოთხრობითს ბრუნვაში: „მათმა თზულლებებმა დაამშვენეს ქართული ლიტერატურა“.

კ ა ვ შ ი რ ი ს ზმარებასთან დაკავშირებული სტილასტიკური შეცდომები: ორი სიტყვის (სინონიმის) „და“-თი უმართებულოდ დაკავშირების შემთხვევები: „ოთარაანთ ქვრივი მტკიცე ნებისყოფის ქალი და ღედაკაცი იყო“; „იგი სწრაფი და ჩქარი ნაბიჯით გაექანა ვიორგისაკენ“... მაპირისპირებელი კავშირის არამართებულად ზმარება: „სეტყვამ გადაიღო, მაგრამ მზემ გამოანათა“. აქ დაპირისპირება არაა, ამიტომ „მაგრამის“ ადგილას „და“ მაჭგუფებელი სჯობს. „ან“ მაკალკევებელი და „ანუ“ მაიგივებელი კავშირების ფუნქციითა აღრევა: „გაცხარდა ღარეჯანი ან ლუარსაბის მეუღლე“, „ლუარსაბი ანუ ღარეჯანი“. „რაც“ მიმართებითი ნაცვალსახელის (კავშირის

როლში) გამოყენება „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელს მაგერ ან პირუკუ: „ნიკომ ჩასჭიდა ხელი ტივა, რაც აუღნელა ირღვეოდა“ (აჯობებს: „რომელიც“). ღიასახლისი შეუღდა საჯილის მზადებას, რომელიც (აჯობებდა „რაც“) დიდხანს გაგრძელდა. „იმიტომ“ მიზეზის კავშირის ფუნქციის აღრევა „იპისთვის“ მიზნის კავშირის ფუნქციაში და პირუკუ: „ღარსპანს კაროყნა სოფელსოფელ მიტომ დაჰყავდა, რომ სასიძოს შეყროდა“. „ანღრიაჲ ერთი მარცვალი ვერ აიღო იპისათვის, რომ მისი ყანა სეტყვამ ვაანაღურა“. „არსენა იპიტომ ებრძოდა ბატონებს, რომ გლეგების ინტერესები დაეცვა“. „ზაქროს მამა მოკვდა იპისათვის, რომ ბატონმა ვააზოზგინა“.

არახუსტი მნიშვნელობით გამოყენებული ნაწილაკი: ზოგჯერ უარყოფის „არ“ ნაწილაკს ხმარობენ უარყოფის „ვერ“ ნაწილაკის ნაცვლად და პირუკუ. ავილოთ ასეთი წინადადება: „გოგამ არ ასწია ცხოვრების მძიმე ტვირთი“. აქ ბუნებრივია „ვერ“ ნაწილაკი. „გიორგიმ ყური ვერ უგდო ღედის რჩევას“. ბუნებრივი იქნება: „კვიორგიმ ყური არ უგდო ღედის რჩევას“.

ასევე ითქმის -ც ნაწილაკის ხმარების შესახებ ზოგიერთი სიტყვის ბოლოს. შდრ.: „ტოროლას შინაც არ მოკვლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი“. აქ -ც ნაწილაკი აძლიერებს შთაბეჭდილებას. კონტექსტიდან იანს, რომ „ბევრიც“ და „ბევრია“ შინაარსობრივად არაა ერთი და იგივე. ამ სხვადასხვაობას -ც ნაწილაკი ქმნის. მისი თავის ადგილას გამოყენება აუცილებელია. ავილოთ სხვა მაგალითი: „აბა, კაციცა ისა ყოფილა და ქუდიც იმას, ძმავ, ჰხურები!“ აქ რომ -ც ნაწილაკი სიტყვებს მოვაცალოთ, აუცილებლად შენელებდა ის შთაბეჭდილება, რომელსაც პოეტი არსენას დასახასიათებლად ნაწილაკის გამოყენებით აღწევს; ასევე ითქმის -მე,-ვე,-ლა და სხვა ნაწილაკთა სტილისტიკური ფუნქციის შესახებაც.

მოსწავლეთა მეტყველებაში იშვიათი არაა „მხოლოდ“ ნაწილაკის მნიშვნელობის აღრევა „ხოლო“ კავშირის მნიშვნელობაში: „მუნჯაქე მართალი კაცი აყო, მხოლოდ ნაცვალი მატყუარა“ („მხოლოდ მნიშვნელობით „მარტოს“ უღრის, „ხოლო“ კი — „მაგრამს“)...

ღ რ ო თ ა შე უ თ ა ნ ხ მ ე ბ ლ ო ბ ი ს შემთხვევები: „ვზივარ ხის ძირას და ვიფიქრე, ნადირი მალე გამოჩნდება“. ამ წინადადებაში პირველი ზმნა აწმყოშია, მეორე — ნამყო წყვეტილში, შესამე კი — მომავალში. აუცილებელია, პირველ ზმნას ღროში შეეთანხმოს მეორე ზმნა: „ვზივარ... და ვფიქრობ“, თორემ გამოდის, რომ ახლა (აწმყოში) ვზივარ ხის ძირას (ნადირს ვუთვალთვალე) და წარსულში ვიფიქრე, რომ ნადირი მალე გამოჩნდება. ამ ტიპის მაგალითებია: „ვიყავი ბაღში და დავკრეფ ხილს“. „გაიღვიძებს მეურკე და გზას

გაუღდა“. დროთა და კილოთა შეთანხმება გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელია, რათა ორაზროვნებასა და ბუნდოვანებას დავაღწიოთ თავი და აზრს საჭირო სინათლე შევუნარჩუნოთ. თუმცა არ უნდა დაგვაიწიყდეს, რომ აზრის გამოთქმისას წინადადებაში ხშირია ისეთი საქცევი. როცა დროსა და კილოში დარღვეულია შეთანხმების ეს პირობა, მაგრამ ფრაზა სრულად, ბუნებრივად, მოზღვანადაა აგებული და აზრს საკმაო სინათლე აქვს შენარჩუნებული. ამრიგად, დროთა და კილოთა შეთანხმების ცალკეული შემთხვევა უნდა გახედეს მსჯელობის საგანი, ე. ი. ისეთი შემთხვევა, როცა ასეთი შეთანხმების დარღვევა ჩრდილს აყენებს აზრის სინათლეს და არა ყოველი შემთხვევა, სადაც შეთანხმების დარღვევა მეტ გარკვეულობასა და სიცხოველეს ანიჭებს ფრაზას — ზუსტად ვადმოსკეს ვაღმოსაყემი.

2. უპიზნო განმეორებანი, ზედმეტი სიტყვები აბუნდოვანებს აზრს, ბუნებრივ იერსა და სილაზათეს უკარგავს ქართულ ფრაზას. ზედმეტი შეიძლება იყოს სრულმნიშვნელოვანი სიტყვა, კავშირი, თანდებული. ნაწილაკი... მავალითები: „ბატონების სადილზე ბატონები ყმებს არ უშვებდნენ“. „დათო რომ ელაპარაკებოდა, ლუარსაბი რომ მოაჯირზე იდგა“. „ანდრეას უნდა, რომ კარგი მოსავალი უნდა მოვიდეს“... თუმცა განმეორება მხატვრული დანიშნულებით ზოგჯერ აუცილებელია და დიდ ექსპრესიულ ძალას ანიჭებს და ესთეტიკურ იერს აძლევს ფრაზას („ო, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი“...). ზედმეტი განსაზღვრებები (ვანსაკუთრებით სინონიმები) ისე უარყოფითად მოქმედებენ მეტყველების სტილზე, როგორც სინათლის მოქარბებული სხივები — მხედველობაზე; მავალითა: „მშენიერი, ტურფა. მზიანი, ნათელი, ბრწყინვალე და სიცოცხლის მომვრელი დილა გათენდა“. ასევე ითქმის ზედმეტი დამატებისა და გარემოების გამოყენების შესახებ. ზომიერების დაცვას ასეთ შემთხვევაში სტილისტიკა მოითხოვს.

3. ერთგვარი დაბოლოებანი (ერთგვარი ფორმები) ზოგჯერ აბუნდოვანებს სტილს; მავალითები: „შრომის რეზერვების სამმართველოს უფროსის განკარგულებს შესრულებას შემოწმების მიზნით“... „საწარმოების ხელმძღვანელები გევმებს გადაჭარბებით ასრულებენ“ (აჯობებდა: „საწარმოთა“). „წყალს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთათვის, ჰაერის სისუფთავისათვის და ადამიანის ჯანმრთელობისათვის“ („აჯობებ: „წყალს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთათვის, ჰაერის სისუფთავისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის“)...

სტილისტიკური მნიშვნელობა აქვს ებ-იანი და ნ-არ-თ-ანიან ფორმების მონაცვლეობასაც: „გლესთა დიდი აჯანყება“ თუ „გლესების დიდი აჯანყება“, „გმირი მხედრები“ თუ „გმირნი მხედარნი“. უფრო ლამკვირებელია „მუშათა კლასი“, „მწერალთა კავშირი“ (ვიდრე „მუშების კლასი“, „მწერლების კავშირი“)...

4. სიტყვათა რიგის დარღვევა არა მხოლოდ აბუნდოვანებს წინადადებით გადმოცემულ აზრს, არამედ ზოგჯერ სულსხვა შინაარსს ვლენბულობთ; მაგალითები: „კალატოზმა მშვენიერი სახლი ააშენა“ და „მშვენიერმა კალატოზმა სახლი ააშენა“; „დიდი სახლის მოაჯირი“ და „სახლის დიდი მოაჯირი“...

აღსანიშნავია შეძვეცი: როცა სიტყვათა დალაგებაზეა საუბარი, მსჯელობის საგნად უნდა გახდეს კონკრეტული შემთხვევა, თორემ სიტყვათა რიგის შეცვლა ზოგჯერ სწორედ სტილისტიკური მოთხოვნებითაა გამოწვეული; მაგალითად, პოეზიაში (ზოგჯერ პროზაულ მეტყველებაშიც) მიღებულია და უფრო მოხდენილი მსახვერელ-საზღვრულის ინვერსიული რიგი, ვიდრე პირდაპირი წყობა.

5. ტიპობრივია ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების უადგილოდ და ზედმეტად ხმარების შემთხვევები: „როგორც მოგეხსენებათ, ტარიელი, ცხადია, მკლავის ძალას ეყრდნობოდა“... „ამგვარად, რასაკვირველია, ბევრი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა, როგორც აღვნიშნეთ, პლატონს საღეღინაცვლოს ძებნაში“...

6. სასვენი ნიშნების გამოუყენებლობა ან არათავის ადგილას ხმარება, ან ერთი სასვენი ნიშნის მაგიერ მეორის ხმარება აბუნდოვანებს. ორაზროვანს ხდის წინადადებით გამოთქმულ აზრს:

ზოგჯერ ძახილის წინადადების ბოლოს წერტილია დასმული, თხრობითი წინადადების ბოლოს კი— ძახილის ნიშანი. ამით შინაარსი იცვლება. ზოგჯერ სასვენი ნიშანი აკლია; მაგალითად: „გაბროს დათიკოს შესანიშნავად გვიხატავს მწერალი“. „გაბროს“ შემდეგ მძიმე არაა დასმული, რის გამო „გაბროს დათიკო“ მივიღეთ. ბრჭყალები სრულადად უცვლის სიტყვას თავის ნამდვილ მნიშვნელობას და მის საპირისპირო მნიშვნელობაზე მიგვითითებს. შევადაროთ მაგალითები:

„ნიკო მშრომელი კაცია“. „ნიკო „მშრომელი“ კაცია“. მეორე მაგალითში ბრჭყალებმა ნათლად მიგვითითა იმაზე, რომ ნიკო მშრომელი კი არ ყოფილა, არამედ — არამშრომელი და სხვ.

7. ნასესხები სიტყვები და გამოთქმები ყოველთვის არ ამდიდრებენ ენას, ზოგჯერ აქვეითებენ კიდევ ქართული მეტყველების სტილს. განსაკუთრებით სახიფათოა უცხოური ენის კონსტრუქციებს, ფორმების კალკი ქართულში. ხშირ შემთხვევაში სხვა ენიდან შემოსული მხაზარეული გამოთქმები და ფორმები არ ითვალისწინებენ ქართული ენის სპეციფიკას და ისე ჰკვიდრდებიან ქართულ მეტყველებაში ლიტერატურული ქართულის უფლებებით. ამის წყაროს უმთავრესად თარგმნილი ლიტერატურა წარმოადგენს. თარგმნილი ლიტერატურა დიდ სამსახურს უწევს ქართულ ენას ლექსიკონის გაფართოებაში, ახალი ტერმინოლოგიის შექმნაში (უამისოდ მეცნიერების განვითარება შეფერხდებოდა), მაგრამ შემოსული სიტყვები და გამოთქმები ქართული ენის გრამატიკის კანონებს უნდა ექვემდებარებოდეს. გვხვდება იდიომატურ გამოთქმათა სიტყვა-სიტყვით თარგმანის მრავალი შემთხვევა, რაც უარყოფითად მოქმედებს ქართული მეტყველების სტილზე.

მსაზღვრელად გამოყენებული გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელი სახელები (შვიდი, ათი, ოცი...) და ვაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელები (ბევრი, ყველა, მრავალი, რამდენიმე) საზღვარულს ჩვეულებრივ მხოლოდითი რიცხვის ფორმაში მოითხოვენ: „შვიდი მოწაფე“... მაგრამ გვხვდება: „ყველა მოწაფეები“. პარალელურად ამისა, თუ.საზღვრული ნ-არიანი მრავლობითი ფორმითა წარმოდგენილი, მსაზღვრელიც იმგვარავე ფორმას იკეთებს: „ბევრნი ფრთოსანნი“, „შვილნი კაცნი“, „მზეთუნახავი ქალი და თორმეტი თვენი“...

8. მოსწავლეთა მეტყველებაში იშვიათი არაა ფრაზიორობის, მრავალსიტყვაობის, ვრცელი წინადადებების (პერიოდების) გამოდევნების მაგალითები. „ბრწყვიალა ფრაზებისადმი“ მიდრეკილება მაშინ ჩნდება, როცა ადაპიანის აზროვნება და მეტყველება ზრდის პროცესშია, მოუმწიფებელია; როცა მოუბარსა თუ დამწერს ზუსტად არ ესპის თავის განქარგულებაში არსებული ყველა სიტყვისა და გამოთქმის მნიშვნელობა; მტყიცედ არა აქვს ათვისებული ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის წესები; არა აქვს ამ წესების მეტყველების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება, ფრაზზე მუშაობის გამოცდილება; ნაკლებად ეხერხება — აზრის გადმოსაცემად ერთი კონსტრუქციის წინადადება შეცვალოს მეორე კონსტრუქციის წინადადებით. ასეთ პირობებში პერიოდების გამოდევნება სახიფათოა, წყარო ხდება მრავალსიტყვაობისა და უაზრო-

ბის. მოწაფეს, რომელსაც უჭირს მარტივი წინადადებების აგება-გამართვა, ნაკლებად შეუძლია მართებულად გამოიყენოს რთული კონსტრუქციის წინადადებები, პერიოდება.

ბევრი მწერალი, მეცნიერი პერიოდს მართებულად და მოხდენილად იყენებს მეტყველებაში. ორატორები, მკვერპეტყველები პერიოდებით აღწევენ მაღალ ეფექტებს. მოკლე წინადადებები ყოველთვის ვერ შეცვლის პერიოდს, ან უკეთ. ზუსტად ვერ გადმოსცემს იმას, რისი გაღმაცემაც უფრო სრულყოფილად პერიოდით შეიძლება. გარდა ამისა, პერიოდი გარკვეულ შემთხვევაში ხასიათდება დიდი ზემოქმედებითი ძალით, რასაც მისი დაშლის შემდეგ მოკლე (დამოუკიდებელი) წინადადებები ვეღარ ინარჩუნებენ. ამის დასადასტურებლად მრავალი შავალთის მოყვანა შეიძლება, მაგრამ დასარწმუნებლად საკმარისი იქნება დანაწევრებულად წარმოვიღვივოთ ილიას „განდეგოლის“ შემდეგი ნაწყვეტი:

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწიენი არ შეხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა სდნებიან,
სად უდაბურსა მათს მყუდროებას
კაცთ ჟრიაშული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ქეჟა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ შთენია,
უწინდელ დროში ღეთისა მოსავთა
გამოუქებავთ მუნ მონასტერი —
და იმ ყინულში შეთხრილს ღეთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი“.

პერიოდი რთულია აგებულებით. მასში შედის ერთიმეორესთან ლოგიკურად დაკავშირებული რამდენიმე წინადადება. პერიოდში ზოგჯერ ათზე მეტი სხვადასხვა ტიპის წინადადება შედის. რომლებიც განმარტავენ, ავითარებენ მთავარი წინადადების აზრს. პერიოდის შედგენა ძნელია. იგი მოითხოვს მარტივი და რთული წინადადების აგების წესების საფუძვლიან ცოდნას. ასეთი წინადადების წარმოთქმა და წაკითხვაც ადვილი არაა. პერიოდის პირიქით ნაწილში მოთავსებული წინადადებები ხმის ამაღლებით წარმოითქმის და წაკითხება, ე. ი. დამოკიდებული წინადადებები მაღალი ხმით წარმოითქმის, მთავარი კი — დაბალი ხმით. ხმის სიმაღლის ასეთი შეხამება აუცილებელია იმისათვის, რომ პერიოდით გამოთქმული აზრი ზუსტად გადმოიცეს, წინადადებები მწყობრად, პარამონიულად წარმოითქვას.

9. სტილისტიკურია ასეთი შეცდომა: მოწაფე ცალკეული ფრაზის აგებაში არ უშვებს არც ლექსიკურსა და არც

გრაპატიკულ შეცდომას; ცალკეული ფრაზები. წინადადებები სტილისტიკურად უნაკლოდაა გამართული, მაგრამ მთლიანად ჰისი გადმოცემა (თხზულება) ნაკლები და უფერულია. მიზეზი ტრაფარეტული, ვაკუუთილი ფრაზებია, როცა მოსწავლე თავისი აზროვნებას ნამდვილ ნაყოფს კარ ვეწვდის. არამედ შექანაიკურად აზებირებს და გაუფარებლად გადმოსცემს სხვის მხანაზარეულ გამოთქმებს. ასეთი მეტყველება უსულოა, უფერული, სტილისტიკურად გაუშართავი.

მეტყველების სტილზე
მუშაობის ორგანიზაცია
და ფორმები

სტილისტიკურ შეცდომათა ხასიათისა და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ სტილისტიკის სწავლება ქართული ენის სწავლების საკითხთა სისტემაში

ყველაზე ურთულესი საკითხია. საქმეს უფრო მეტად ართულებს ის, რომ სტილისტიკის თეორიული საკითხები არაა სათანადოდ დამუშავებული.

მოწაფის მეტყველების სტილზე მუშაობა გულისხმობს პოეტიკური და გრაპატიკული სტილისტიკის ელემენტების სწავლებასაც. სტილისტიკის ელემენტების სწავლება მართებული სტილის გამომუშავების თეორიულ საფუძველს წარმოადგენს, ზოგი საკითხი სტილისა ამ თეორიული საფუძვლის ცოდნას მოითხოვს, ზოგიც პრაქტიკული გზით ისწავლება. გონივრულად დაყენებულ სასწავლო პროცესში ამ თეორიული წინაპიძღვრების (სტილისტიკის ელემენტების) სწავლება და სათანადო პრაქტიკული ჩვევების გამოქმნა, როგორც ერთიანი ღონისძიება, ერთდროულად ხორციელდება.

ერთი და იგივე ენობრივი მასალა შეიძლება გაარჩეს როგორც გრაპატიკულ-სემანტიკურა თვალსაზრისით, ისე პოეტიკური (მხატვრული) თვალსაზრისითაც. „წამოხტა კაკო ლომივით ზეზე“ — გრაპატიკულად მარტივი გავრცობილი წინადადებაა, შეიცავს სრულმნიშვნელოვან სიტყვებს. სიტყვები წინადადებაში დალაგებულა არა სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით; ახალი სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით უფრო ზუსტი იქნება: „კაკო ლომივით წამოხტა ზეზე“. „ზეზე“ შეიძლება ზედმეტადაც მივიჩნიოთ, როგორც პლეონაზმი (თუ წამოხტა, ცხადია, ზეზე წამოხტებოდა). ამიტომ სადა მეტყველების თვალსაზრისით უფრო მართებული იქნება: „კაკო ლომივით წამოხტა“. პოეტიკური თვალსაზრისით ეს შეუარებაა. კაკოს შეუარება ლომთან პოეტს დასჭირდა კაკოს ვაჟკაცობის გამოსახატავად, კაკოს სახის შესაქმნელად. პოეტმა სიტყვები წინადადებაში პირდაპირი რივით კი არ წარმოადგინა, არამედ ინვერსიულად. პირდაპირია: „ლომივით წამოხტა“; ინვერსიულია: „წამოხტა ლომი-

ვით". სიტყვა „ზეზე“ ამ ფრაზაში არა თუ შეღვეტია ან არაბუნებრივ ადვილას მღვარი. არამედ პოეტოკური თვალსაზრისით მეტად მოხდენილიც. ამრიგად, პოეტოკური სტილისტიკის თვალსაზრისით სიტყვააა აეთი შერჩევა, ერთმანეთთან შეზამება და დალაგება სრულიად ბუნებრივია. ასეთი წინადადეგების გარჩევა შეიძლება როგორც გრამატიკული, ისე პოეტოკური თვალსაზრისით. სიტყვები ერთია, დრასის აგებულება, სიტყვების დალაგება სხვადასხვა, ე. ი. სიტყვათა გამოყენება ფრაზაში სხვადასხვაგვარად შეიძლება. ენობრივი მონაცემების სხვადასხვაგვარი თვალსაზრისით დახასიათება შესაბამისად სხვადასხვა დასკენას იძლევა. გრამატიკის საგანი არაა გარკვიოს პოეტოკური ლექსიკისა და პოეტოკური სინტაქსის საკითხები, მაგრამ გრამატიკული სტილისტიკა ვერ აუვლის გვერდს ისეთ საკითხს, როგორცაა სიტყვათა რიგი წინადადებაში. ეს ისეთი საკითხია, რომლის დახასიათება გრამატიკულ სტილისტიკასაც სკირდება და პოეტოკურსაც. ენობრივი ფაქტის ყოველმხრივი შესწავლისათვის მისი ორივე (გრამატიკული, პოეტოკური) თვალსაზრისით დახასიათება საჭირო და აუცილებელია. სკოლის სინამდვილეში გრამატიკისა და პოეტოკის სწავლებას ერთი პირი — ქართული ენისა და ლიტერატურის მანწავლებელი — ხელმძღვანელობს. ამიტომ იგა ადვილად ანაწევრებს თავის მიზანდასახულობას: ენობრივ ფაქტებს გრამატიკის ვაკვეთილზე გრამატიკული თვალსაზრისით აანალიზებს, ლიტერატურას ვაკვეთილზე კი — პოეტოკური თვალსაზრისით. ამით ორგანიზებულად ხელმძღვანელობს სკოლაში ენის მალალ ღონეზე სწავლების საქმეს. ამრიგად, ენობრივი მონაცემების სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლა სტილის გამომუშავებას ხელს კი არ უშლის, არამედ ხელს უწყობს. მაგრამ გრამატიკული სტილისტიკისა და პოეტოკური სტილისტიკის სწავლების ამოცანების გადაწყვეტა მასწავლებელმა სათანადო კონკრეტული გრამატიკული და კონკრეტული ლიტერატურული მასალის ანალიზის საფუძველზე უნდა აწარმოოს და ერთდოს ორივე ამოცანის ერთდროულად გადაწყვეტას, ვთქვათ ასე: გრამატიკის სწავლების პროცესში პოეტოკური სტილისტიკის სწავლებას ან პოეტოკის სწავლების პროცესში — გრამატიკული სტილისტიკისას. გრამატიკული და პოეტოკური სტილისტიკის ასე დაანაწევრებულად და თავ-თავის ადგილას სწავლებას თვით სტილისტიკის მალალ ღონეზე სწავლების ინტერესები მოითხოვს.

გრამატიკული სტილისტიკა ეყრდნობა ლექსიკურ მარაგს, ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის მონაცემებს. გრამატიკული სტილისტიკის ამოცანების გადაწყვეტა მორფოლოგიისა და სინტაქსის სათანადო საკითხების ცოდნას ეფუძნება. ლექსიკურ მარაგს ამდიდრებს

ყველა სასწავლო საგანი, განსაკუთრებით მშობლიურა ენა და ლიტერატურა. მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხების სწავლება კი მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილზე წარმოებს.

მოწაფეთა მეტყველების სტილის გამოსამუშავებლად სათანადო სავარჯიშოებს სპეციალურად მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ატარებს; იგი წინასწარ ითვალისწინებს — სტილისტიკაში რა სახის სავარჯიშო უნდა მიეცეს კლასს მორფოლოგიისა და სინტაქსის თემების სწავლებასთან დაკავშირებით და გეგმავს მას გრამატიკულ მასალასთან ერთად.

გრამატიკულ სტილისტიკაზე მუშაობა წარმოებს ისე, რომ ჯერ გრამატიკული საკითხები შეისწავლება, შემდეგ (და მასთან დაკავშირებით) გრამატიკასთან ბუნებრივად დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები. ამიტომ გრამატიკული სტილისტიკის სავარჯიშოთა შინაარსსა და ხასიათს სათანადო თეორიული გრამატიკული მასალა განსაზღვრავს. ამრიგად, ლექსიკურ მარაგთან ერთად, გრამატიკული მოვლენების ცოდნა საფუძვლად ედება სტილზე მუშაობას.

გრამატიკულ სტილისტიკაში ვარჯიშობის მიზანია — შეაჩვიოს, დაახლოვნოს მოწაფე — თავისუფლად გამოიყენოს თავისი ლექსიკური მარაგი და გრამატიკული წესების ცოდნა გამართული ლიტერატურული ენით მეტყველებისათვის. სტილისტიკაში სავარჯიშო უნდა იყოს შემოქმედებითი ხასიათის — ნამდვილად იწვევდეს მოწაფის გონების ამოქმედებას, ენაზე დაკვირვების უნარის განვითარებას, ცხოველ ინტერესსა და სიყვარულს ქართული ენის რთული და მდიდარი ბუნების შესასწავლად, ზრდიდეს მოწაფეში შესწავლილი ენობრივი მოვლენების შევსებულად, მიზნობრივად გამოყენების უნარს. სტილზე მუშაობას დაწყებით კლასებში ეყრება საფუძველი¹. გრამატიკულ სტილისტიკაზე განსაკუთრებით უნდა გააძლიერდეს ყურადღება V—VIII კლასებში, სადაც ქართული ენის გრამატიკის რამდენადმე სისტემატური კურსი ისწავლება. ამ კლასებში სტილისტიკის ისეთი საკითხები შეისწავლება, რომელთაც, ზოგადასაგანმანათლებლო მნიშვნელობასთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება მოწაფეთა ზეპირი და წერიტი მეტყველების განვითარებისა და სრულყოფისათვის. მორფოლოგიის სწავლებას დაუკავშირდება ცალკეულ სიტყვასთან დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები, სინტაქსთან დაკავშირებით — შესიტყვებასთან, წინადადებასთან დაკავ-

¹ დაწყებით კლასებში სტილზე მუშაობის საკითხები განხილულია ჩვენი წიგნში „ქართული ენის სწავლების მეთოდია“, 1962, გვ. 360—377.

შირებული სტილისტიკის საკითხები (ამაზე ზემოთ გვექონდა საუბარი).

გრამატიკული სტილისტიკის პროგრამული საკითხების სწავლება პრინციპულად ისე წარიმართება, როგორც მართლწერისა და პუნქტუაციის სწავლება. როგორც ვიცით, მართლწერის პროგრამული საკითხები უკავშირდება ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სათანადო საკითხებს. განსაკუთრებით ფართო გასაქანია გრამატიკულ სტილისტიკაში მუშაობისათვის სინტაქსის კურსთან დაკავშირებით.

წინადადების შედგენა და დაშლა, ლოგიკური მახვილის აღვილის მოაქვნა წინადადებაში, მარტივი გაუფრცობელი წინადადების გავრცობა, გავრცობილის გადაკეთება გაუფრცობლად, არასრული წინადადების გადაკეთება სრულად, სრულისა — არასრულად, მარტივი წინადადების გადაკეთება რთულად, რთულისა — მარტივად. პირდაპირი სიტყვისა — ირიბად, ირიბისა — პირდაპირად, — საუკეთესო საშუალებებია — დავაკვირვოთ მოწაფეები ენობრივ მოვლენებზე, მყარი ცოდნა მივცეთ ქართული მეტყველების საქცევების ყველა შესაძლებელ სახეზე, ამ საქცევების კონკრეტული ვითარების მიხედვით გამოყენებაზე. მოწაფეები უნდა შევაჩვიოთ წინადადებათა რეკონსტრუქციებს — ერთი შედგენილობის წინადადების გადაკეთებას მეორე შედგენილობის წინადადებად.

გრამატიკული სტილისტიკის ახსნის პროცესში საჭირო არაა სტილისტიკის, მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხების დიფერენცირებულად ახსნა; მაგალითად, ასე: სხვათა სიტყვის სწავლებისას -ო, -თქო, -მეთქი ნაწილაკების დეფისითა თუ უდეფისოდ სმარების საკითხი მართლწერის საგანია, პირდაპირ ფორმას ვიზმართ, თუ ირიბს — სტილისტიკისა, ხოლო ბრჭყალებს ვიზმართ, თუ არ ვიზმართ — პუნქტუაციისა და სტილისტიკისაც. მასწავლებელი ახსნის პროცესში ერთდროულად ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხებზე, ვინაიდან მათი გარკვევა, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ამ კონსტრუქციის წინადადების საფუძვლიანი ღახასიათებისათვის. თანაც მოსწავლეებს ჩვენ არ ვესაუბრებით სტილისტიკაზე, ამ ტერმინსაც არ ვეზმარობთ მათთან, მაგრამ სათანადო საკითხებს კი ვასწავლით. საკითხის ასე დანაწევრებულად ცოდნა ესაჭიროება სტუდენტს, მასწავლებელს — სტილისტიკის სწავლებაზე სწორი ორიენტაციისათვის.

ამასთან ერთად საყურადღებოა სტილისტიკის ცოდნის განმტკიცებლს, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის აღზრდის, სათანადო ჩვევათა გამომუშავების საკითხები. ამისათვის გეგმავთწონილი

ვარჯიშობაა საჭირო; ვარჯიშობის მთელი სისტემაა შესამუშავებელი მართლწერისათვის ცალკე, სტილისტიკისათვის ცალკე და პუნქტუაციისათვის ცალკე. ამრიგად, სავარჯიშოები შემუშავდება და ჩატარდება ცალ-ცალკე, ვინაიდან ყოველ სავარჯიშოს კონკრეტული ამოცანა ექნება გადასაწყვეტი ან მართლწერაში, ან სტილიატიკაში, ან პუნქტუატიკაში. მასასადაჰე, მეტყველების მართებული სტილის გამოსაქმნებლად საჭიროა სპეციალური სავარჯიშოების ჩატარება სტილისტიკაში.

როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების სტილზე მუშაობა ერთდროულად წარმოებს; ღონისძიებანი, რომლებიც ტარდება ზეპირი მეტყველების სტილის გამოსაქმნებლად — წარმოადგენენ წერითი მეტყველების ამალგების ღონისძიებებსაც და პირუ.ყ. მაგალითად, როცა კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე ავუხსნით მოწაფეებს, რომ ძლიერ გავრცობილ მარტივ წინადადებაში შემასმენლის ბოლო ადვილას მოქცევა აქნელებს აზრის გაებას და საჭიროა მისი წინ წამოწევა — ასეთი აზნა თანაბარღირებულია როგორც ზეპირი მეტყველების სტილისათვის, ისე წერითი მეტყველების სტილისათვის. სათანადო ჩვევის გამოსაქმნებლად სავარჯიშოები ტარდება როგორც ზეპირად, ისე, განსაკუთრებით წერილობით. მოწაფეთა მეტყველების სტილის გასამართავად, მართალია, განუზოჰელი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის გამართული სტილით მეტყველებას გაკვეთილზე, მოწაფის მეტყველების სტილისადმი სისტემატიურ კონტროლსა და სხვა ღონისძიებებს, მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა სათანადო ჩვევის გამოსაქმნებლად წერითი სავარჯიშოებს ენიჭება.

მეტყველების სტილის გამომუშავებას უშუალოდ თუ შუალობით ემსახურება კარგად ორგანიზებული ყველა სახის წერითი სავარჯიშო. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სახის თხზულების წერასა და შინაარსის გადმოცემას. მოწაფის მეტყველების სტილის წარმატება თუ ნაკლოვანება ყველაზე უფრო რელიეფურად ვლინდება თავისუფალი სახის წერით სავარჯიშოებში, რომლებიც სრულდება მოწაფის დამოუკიდებელი ძალით; თხზულება და შინაარსის გადმოცემა სტილის გამომუშავების უმთავრესი საშუალებებია, მაგრამ, ამათთან ერთად, აუცილებელია სპეციალური სავარჯიშოების ჩატარება გრამატიკულ სტატისტიკაში, როგორცაა:

1. წინადადებაში გამოტოვებული ადგილის შევსება სათანადო შინაარსის სიტყვით;

2. არაზუსტი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვათა შეცვლა;

3. წინადადებაში სიტყვათა მართებულად დალაგება;

4. ეოთგვარობის აცილება;

5. ერთი კონსტრუქციის წინადადებით გამოთქმული აზრის გად-
ჭოცემა სხვა კონსტრუქციის წინადადებით და სხვ.

წინადადებაში გამოტოვებული ადგილის შევსება სათანადო შინაარსის სიტყვით

მასწავლებელი ადგენს საკარნახო (ან გადასაწერ) ტექსტს, სა-
დაც წინადადებებში გამოტოვებულია ისეთი შინაარსის სიტყვები,
რომელთა შერჩევა მოწაფისაგან საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს.
მოწაფეებს დაევალებათ — დამოუკიდებლად შეარჩიონ სათანადო
მნიშვნელობის სიტყვები ზეპირად და შევსებული წინადადება შემ-
დეგ დაწერონ. ამის ნიმუში იქნება: „გაზაფხულა... ნაკადულები
ფრინველებმა... გალობა გამართეს“ და ა. შ. გამოტოვებული ადგი-
ლისათვის უნდა შეირჩეს ისეთი სიტყვა, რომელიც შინაარსით, გრა-
მატიკულად კარგად შეეხამება სხვა სიტყვებს და წინადადება გა-
იმართება. მოწაფეებს უფლება აქვთ — შეარჩიონ ისეთი სიტყვა,
რომელიც უფრო მარჯვე, მორგებული იქნება ფრაზისათვის. უკე-
თესს ის შეარჩევს, ვისაც ერთისა და იმავე ცნების გამოსაბატავად,
სინონიმების დიდი მარაგი აქვს, ე. ი. ვინც ფლობს მდიდარ ლექსი-
კონსა და კარგადაა დაუფლებული გრამატიკულ წესებს.

არაზუსტი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვათა შეცვლა

მოწაფეებს ეძლევათ ისეთი ტექსტი, რომელშიაც რამდენიმე
სიტყვა არაზუსტი მნიშვნელობითაა ნახმარი. მათ დაევალებათ —
შინაარსობრივად შეუხამებელ სიტყვათა დამოუკიდებლად შეცვლა;
ვთქვათ, V კლასს ვასწავლეთ ზედსართავი სახელები. ეძლევათ ისე-
თი ტექსტი, რომელშიაც ზედსართავები ზუსტი მნიშვნელობით არაა
ნახმარი და საჭიროა მათი შეცვლა. მასწავლებელი წერს დაფაზე (ან
უკარნახებს) წინადადებებს; მოწაფეები უკვირდებიან თითოეულ წი-
ნადადებას, აღმოაჩენენ მათში მცდარად ნახმარ სიტყვას, შეცვლიან
ასეთ სიტყვებს და გაჰართულ წინადადებას დაწერენ. ნიმუში:
აღელვებულმა ცამ პირი შეიკრა. ბრაზმორეული სეტყვა წამოვიდა.
განათებული ყანა ნიაღვარმა წალეკა. უღმობელ ანდრიას თვალებ-
ზე ცრემლი მოადგა და ა. შ.

წინადადებაში სიტყვათა მართებულად დალაგება

როცა VII კლასის მოწაფეები დაასრულებენ წინადადების წევრ-
თა შესწავლას, თეორიულად უკვე ეცოდინებათ — რომელი სიტყვა

რომელ სიტყვას უკავშირდება წინადადებაში და ქართული ენის ბუნების მიხედვით როგორი დალაგება იქნება ყველაზე უფრო გამართლებული. მასწავლებელი დაფაზე წერს ისეთ წინადადებებს, რომლებშიც სიტყვები არამართებულადაა დალაგებული. თითოეულ მოწაფეს ვეალება — დაპოუქიდებლად შეიმუშაოს სწორად დალაგების ვარიანტი და დაწეროს. ნიშნები: დაღვა ზამთარი, თეთრად ბუნება შეიმოსა. ძალიან თოვლის მოსვლა ბავშვებს გაუხარდათ. თავი ეზოში პატარებს მოუყრიათ და ა. შ.

ერთგვარობის აცილება

ასეთი სავარჯიშო სტილისტიკაში შეიძლება მიეცეს V—VIII კლასელებს იმის მიხედვით, თუ გრამატიკიდან რა თეორიული მასალა იქნება გავლილი (სახელებთან დაკავშირებით — ერთი სახელის შეცვლა მეორეში, ბრუნვებთან დაკავშირებით — ერთგვარ ბრუნვათა (დაბოლოებათა) აცილება, თანდებულებთან დაკავშირებით — ერთგვარ თანდებულთა აცილება, კავშირებთან — ერთგვარი კავშირების აცილება და ა. შ. ვთქვათ, V კლასმა ისწავლა სახელთა ოთხივე ჯგუფი შინაარსის მიხედვით. შეიძლება სტილისტიკაში სავარჯიშოდ მიეცეს არსებითი სახელის შეცვლა ნაცვალსახელით და ნაცვალსახელის შეცვლა არსებითით. ნიშნები: რაფიელ ერისთავი დაიბადა სოფელ ქისტაურში. რაფიელ ერისთავს წერა-კითხვა დედამ დააწყებინა. რაფიელ ერისთავი თელავის სამაზრო სკოლაში მიაბარეს. რაფიელ ერისთავმა აქ ოთხი წელი დაყო. რაფიელ ერისთავი შემდეგ შუამთის სკოლაში სწავლობდა. 1839 წელს ის მშობლებმა მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ეს სასწავლებელი მან 1845 წელს დაასრულა. ის 1846 წელს თარჯიმნად მოეწყო სასამართლოში.

ის სამწერლო ასპარეზზე აღრე გამოვიდა. იგი ქართულ ეურნალ-გაზეთებში ათავსებდა ლექსებს.

ასეთი ტექსტი იწერება დაფაზე. თითოეული მოწაფე დამოუკიდებლად ცდილობს — ზოგი არსებითი სახელი შეცვალოს ნაცვალსახელით და ზოგი ნაცვალსახელი — არსებითით; შეცვლილ ვარიანტს კი წერს რვეულში¹.

არსებითი სახელის შეცვლა ნაცვალსახელით და ნაცვალსახელის შეცვლა არსებითით

რაფიელ ერისთავი დაიბადა სოფელ ქისტაურში. მას წერა-კითხვა დედამ დააწყებინა. რაფიელ ერისთავი თელავის სამაზრო სკოლა-

¹ მოგვყავს V კლასის ერთ-ერთი მოწაფის მიერ შესრულებული დავალება.

ში მიაბარეს. რაფიელმა აქ ოთხი წელი დაყო. იგი შემდეგ შუამთას სკოლაში სწავლობდა.

1839 წელს რაფიელ ერისთავი მშობლებმა მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ეს სასწავლებელი მან 1845 წელს დაასრულა. 1846 წელს იგი თარჯიმნად მოეწყო სასამართლოში.

რაფიელ ერისთავი სამწერლო ასპარეზზე ადრე გამოვიდა. იგი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდა ლექსებს.

ერთი კონსტრუქციის წინადადებით გამოთქმული აზრის გადმოცემა სხვა კონსტრუქციის წინადადებით

ასეთი სავარჯიშო შეიძლება მიეცეს VII და VIII კლასებს, სადაც ლინტაქსის კურსი ისწავლება. გამოცდილი მასწავლებლები პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ რთული წინადადების შეცვლას სათანადო შინაარსის მარტივი და შერწყმული წინადადებებით, განკერძოებული სიტყვებითა და გამოთქმებით და პირუკუ; პირდაპირი სიტყვით გამოთქმული აზრის გადმოცემას ირიბი სიტყვით და პირუკუ. განსაკუთრებით კარგ ეფექტს იძლევა მეტყველების სტილის გამოსამუშავებლად რთული წინადადებით გამოთქმული აზრის გადმოცემა მარტივით და მარტივისა — რთულით. ამის ნიმუშია¹.

რთული წინადადების გადაკეთება მარტივად და პირუკუ:

- | | |
|---|---|
| 1. რაც ითესება, ის იმკება. | 1. დათესილი იმკება. |
| 2. ვინც მოყვარესა არ ექებს, იგი თავისა მტერია. | 2. მოყვარის არმძებნელი თავის მტერია. |
| 3. რაც გასაკეთებელია, ღროზე უნდა გაკეთდეს. | 3. გასაკეთებელი ღროზე უნდა გაკეთდეს. |
| 4. მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს. | 4. მე ჩონგური სიმართლას მსახურად მინდა. |
| 5. ნუგზარი, რომელიც თანაგრძნობის ყიყინას მოელოდა, ერთბაშად შედგა. | 5. თანაგრძნობის ყიყინის მომლოდინე ნუგზარი ერთბაშად შედგა. |
| 6. რა წამს ფეხის ხმა მიწყენარდა, ტყიდან გამოვიდა კაცი. | 6. ფეხის ხმის მიწყენარებისთანავე ტყიდან გამოვიდა კაცი. |
| 7. ერთი მოსამსახურე გაიქცა გიორგის დასაძახებლად. | 7. ერთი მოსამსახურე გაიქცა, რომ გიორგისათვის დაეძახა. |

¹ მოგვყავს VIII კლასის ერთ-ერთი მოწაფის მიერ შესრულებული დავალება.

8. თავისუფლებისათვის მებრძო-
ლი ტარიელ გოლუა ხალხს უყ-
ვარდა.

საშუალო სკოლის მოწაფეთა წერიტი ნამუშევრების ანალიზმა ცხადყო, რომ საჭიროა სტილზე მუშაობა გაგრძელდეს საშუალო სკოლის უფროს კლასებშიაც. ამ კლასების მოწაფეთა წერიტს ნამუ-
შევრებში შენიშნული სტილისტიკური ხასიატის შეცდომები უნდა გაანალიზდეს კლასში მოწაფეთა აქტიური მონაწილეობით. ძნელად დასაძლევი შეცდომების ასაცილებლად კი ჩატარდეს წერიტი სავარ-
ჯიშოები შედარებით უფრო რთულ მასალაზე, რომლებიც გათვალის-
წინებულია V—VIII კლასებისათვის.

8. ტარიელ გოლუა, რომელიც
თავისუფლებისათვის იბრძო-
და, ხალხს უყვარდა.

